



№ 45 1916	წელ. მიმოხმა	ფასი
კვირა, 6 გიორგ.	გამომცემისა	15 კ



ლ. ღარჩიაშვილი



ნ. ეგლაშვილი

შინაარსი:

- 1, მეთ ური — თეატრის გარეშემა . . . 2
- 2, გ. ქუჩიშვილი — ელეგია . . . 4
- 3, მახლას — ქალური თანასწორება . . . 3
- 4, სილოვანი — კრიტიკული შეტოდომები . . . 4
- 5, კ. ძიძაძე — წარმადობა . . . 6
- 6, ი. მ. — ჩვენება . . . 7
- 7, ა. ჭელიძე — გარდის ეკლები . . . 7
- 8, კ. ჭიჭინაძე — შემოდგომა . . . 8
- 9, ქნარი — მოწმენდდილ ცაზე . . . 9
- 10, ი. თელი — სეგდისანი შაჯნური . . . 10
- 11, ნ. ელიაშვილი — იძულებულნი . . . 10
- 12, კლავდა გაბუნა — ორი წლის თავზე . . . 13
- 13, იოსებ არიმათიელი — ქარაგული მოღვა-
წნი — გ. ახალციხელი . . . 14
- 14, იაგო ტეტუნაშვილი — დედის მოთქმა . . . 15
- 15, მარ. ხერხეულიძე — რისთვის მინდა . . . 16
- 16, გ. ჯანიაშვილი — კაემანი . . . 17
- 17, სახიობა

გიორგი ბოჭორიძის 6

თეატრის ასაშენებლად. თუ არა გყავს მოახლოე, თეატრი მოიმოახლოე, — სწორედ ჩვენზეა გამოქრული და ამ სიბრძნის თანახმად უნდა გავისარჯნეთ. ნიშნებიც სჩანს.

მაშინ, როდესაც ჩვენი თეატრის მამები ლეთიურის სიმშვიდით განისვენებენ, თეატრის საზოგადოებაში, ხალხში, როგორც ქალაქში ისევე დაბა-სოფლებში, ქართული თეატრის აგებისა და ქართული სახიობის შესახებ დიდი მითქმა-მოთქმა...

და მართლაც, განა საზარელი არ არის, სამარცხვინო და გულმოსაკლავი, რომ ჩვენს დედა-ქალაქში, ჩვენი გონებრივი აღორძინების შუაგულში არა გვექონდეს საკუთარი ტაძარი ხელოვნებისა, რომელიც ამ ნახევარი საუკუნის განმავლობაში ჩვენი ერთად ერთი ლამპარი, ჩვენი ერთად ერთი ყავარჯენი იყო და გამათვითნობიერებელი იარაღი?!

ძველად, შავნელ დროებში ჩვენი ერის გარშემო მკერებელი და აღმაფრთოვანი თუ იყო სიონი, გელათი, ალავერდი, გარეჯა ანუ სხვა ბრწყინვალე ეკლესია — მონასტრები, დღეს უნდა იყოს ქართული ხელოვნების ტაძარი თბილისში, რომელიც უნდა შეიქმნეს ჩვენის აღორძინებას სვეტად...

როგორც თევზი უწყლოდ, როგორც ჩიტი უჭაფროდ, როგორც ქვეყანა უმზეოდ ვერ გასძლებს, ისევე ჩვენ — ქართველები უქართულ თეატრად ვერ ვივარგებთ...

ამიტომაც არის, რომ თვით ხალხის შვილები — ქართველი ერის ძენი — სხვა და სხვა გეგმებს გვიწერენ თეატრის ასაშენებელ თანხის შესაკრებად...

ზოგნი, სამსახურში მყოფნი, გვჩვენებენ შემოვიღოთ ჯამაგირზე დაწესებულ უწყებულ პროცენტის გადადება, ზოგნი — ერთ დროულად გავწერთ წინა დევ შედგენილ სის მიხედულობით; ზოგნი — იაფი ფასიანი ლატარიის გამართვას, რომლის თაობაზედაც გასულ კვირას მოვილაპარაკეთ და რომლის განსახორციელებლად უკვე ერთი წრე დაფარულა.

ამ დღეებში ამავე საგანზე მოველაპარაკეთ „ახ. კლუბის“ მამას. ხლისთა საბჭოს

თავმჯდომარეს თავ. მ. ქავჭავაძეს, რომელიც გვიჩვენებს: ყველა დასახელებულ საშუალებაზე უკეთესი იქნება საქართველოში არსებულმა საკრედიტო დაწესებულებებმა (სასოფლო ბანკებმა და სხ.) თეატრის სასარგებლოდ შემოიღონ ნახევარი, ერთი ანუ რავდენიმე პროცენტის გადასახადი მსესხებელზე. ასეთივე გადასახადი უნდა შემოიღონ კოოპერატივებისა... ამისთანავე ის აზრიც გამოსთქვა, რომ სოფლის ზოგიერთ ბანკსა და კოოპერატივს უკვე განუზრახვთ თეატრის სასარგებლოდ ასეთი წესით ფულის შეკრება და თუ ყველამ ბეჯითად მოგვიდეთ ხელი, ორიოდვე წელიწადში საკმაო თანხას მოვაგროვებთ.

ეს აზრიც, როგორც საყოველთაო იაფი ფასიანი ლატარიის გამართვა ფრიად ცხოველი და საჭიროა ჩვენი თეატრის გულმატივართ ამ აზრის განხორციელებას ყურადღება მიაქციონ. განსაკუთრებით კვალგათ სასოფლო ბანკებისა და კოოპერატივის მწარმოებელთ: თითოეულად მსესხებლისა და მოვაჭრისათვის თითო ოროლო პროცენტის გაღება დიდი არაფერია, მაგრამ ჩვენს საერთო საქვეყნოსაქმეს-კი ფეხზე დაყენებს.

რჩევა ჩვენი და საქმე ჩვენის ქვეყნის ერთგულ შვილთა, — აი რა უფრო საჭიროა დროა ამდენი წერისა და ლაპარაკის შემდეგ პირდაპირ საქმეზე გადავიდეთ; თუ ჩვენი რწმუნებულ რჩეულნი არა ჰპატრობენ მინდობილ ქართულ თეატრის ასაშენების საქმეს თვით ხალხის რჩეულმა შვილებმა უნდა იზრუნონ ამაზე.

კლუბი

შემოდგომა... გულდახურული დავხეტიალობ ყვითელ ქალებში; დავხეტიალობ ფიქრებ დაბურული და ცრემლი მწველი კრთის სემს თვალეებში. ვიშ, რა კარგია უნმო ტირილი. და რა ტკბილია ჩუმი მოწყენა; ეჰ, რა ცუდია ჩივილ-ყვირილი, და ქირთა თვისთა ხალხში მოფენა.

ქ ა ლ უ რ ი თ ა ნ ა ს წ ო რ ო ბ ა

— აი, აქ დაბრძანდით. ძნელს არაფერს დაგავალდებთ: ერთგვარი, თითქმის მექანიკური საქმე გექნებათ და, თუ გულისყურიანად მოქცევით, დიდი შრომა არ დაგვირდებათ.

— მე შრომისა არ მეშინია, პირიქით, სამსახურში იმიტომ შემოვედი, რომ ჩემი შრომით ვიცხოვრო და იმისთანა მდგომარეობა მოვიპოვო, რომ ცხოვრებაში და საზოგადოებაში მამაკაცთან ერთად სრულყოფილ თანასწორი აღვიქნა და ვიქნა.

თვალი გადავავლე. ისე იყო მორთული, იმისთანა ძვირფასი ტანსაცმელი ეცვა თითქო სასახლეში მიბრძანდება სამეფლისოდაო.

— თქვენი შრომით იცხოვროთ?! თქვენი ჯამაგირი, მგონი, თქვენს ფეხსაცმელსაც ვერ აუვიდეს.

— ეგ დღეს. მომავალში, იმედი მაქვს, მეტს დავიმსახურებ და სხვის ხელში შემაცქერალი აღარ ვიქნები.

საქმე გაიწნო, მაგრამ საქმის უმაღლესი თანამოსამსახურე ქალები.

საქმეს უკვე თითონ აწარმოებს, სხვის დაუკითხავად, მაგრამ რაღაცა უკმაყოფილება ეტყობა. მოუსვენრად არის, თითქო აწუხებდეს რამე. სულ ტოკავს, სულ ცმუკავს, გეგონებათ, ნემსებზედა ზისო. წამ და უწუმ წამოხტება, გავარდება აივანზედ, გაიყვანს ვისმე ქალს და ლაპარაკობს... ლაპარაკობს უბოლოოდ!

ახლად მიღებული დროზედ მოდიოდა, ახლა კი სულ მეტსა და მეტს იგვიანებს. სამსახურიდანაც ყველაზედ ადრე გარბის. ხან სულაც არ მოდის,— შეუძლოდ გახლდითო. ერთი კვირაა, არსად არის. საქმე გროვდება, სხვებსაც აფერხებს.

— ოჰ, მობრძანდით?! ვიცი, ვიცი. შეუძლოდ ბრძანდებოდით. აბა, ჩაუჯექით და რაც შეიძლება მალე უნდა საჩქაროდ მოაწესრიგოთ ყველაფერი, თორემ დაუსჯელად ვერ გადავჩვენებთ მის აღმატებულებას.

— ღმერთო ჩემო! მთასავით ქაღალდები დაგიგროვებიათ, ყოველ დღე ახალ-ახალ და-

სტას მომიმატებთ და როგორ უნდა მოვაწესრიგო?

— ვისი ბრალია, მერე! რიგიანად რომ მოექცეთ თქვენს ვალდებულობას, არც ამდენი მოგაგროვდებათ. ზოგს დღე გააკეთებთ, ზოგს საღამოზედ, ან შინ წაიღებთ.

— შინ სამაგისოდ არა მცალია! განა არ შეიძლება, მაგენდოთ გისთვისმე?

— აქ ყველას თავისი საქმე აქვს და შინ სამაგისოდ არავინ მოიცლის.

— მე კი იმედი მქონდა, რომ ჩემი ამხანაგები...

— კარგი, თქვენმა მზემი თქვენ ისე იაროთ და ამით თქვენი საქმე გააკეთებინოთ, ეგ შეუძლებელია!

— შესაძლებელი გახლავით, რომ ამხანაგობა იცოდნენ, მაგრამ ვაი, რომ ამხანაგობისა არა ესმით რა.

გამირისხდა ქალბატონი, მებუტება, მიბღვერის, უფრო ხშირად აკლდება სამსახურს, უფრო მეტი რჩება გასაკეთებელი.

უკვე გაეჩვია და სალაპარაკოდ აივანზედ აღარ გადის. დაჩუმებული, პირმოკუმული ისე ვერ გასძლებს, როგორც უწყლოდ თევზი. დაქტრიალებს მთელს ჩვენ შერობაში და ლაპარაკობს, ლაპარაკობს! მთელი ქვეყნის ამბები იცის, ქვეყნისა იცნობს... ცოცხალი გაზეთია, მეტყველი გაზეთი! ახლა კი ვიცი, რაღაცა ცმუკავდა, თავის ალაგს რომ იჯდა: სათქმელი აწუხებდა! ფფიცივ, თუ დროზედ არ დაროშა, თავისი დავმართება! ზის და როშავს! რა გინდათ ამან არ იცოდეს? ვინ რითი ცხოვრობს. ვინ ვის ირთავს, ვინ ვის ვარშიყება...

ხომ არ იტყვის,— ამბობენო, ან გამიგონიაო. არა, რასაც ამბობს, ისე ამბობს, როგორც ფაქტს უტყუარ ფაქტს, თითქო თავის თვლით ენახოს.

— კიდევ დაიგვიანეთ?! თორმეტი სრულდება...

— წუხელ ძალიან გვიან დაგებრუნდი და...

— ეგ ჩემი საქმე არ არის. როცა გნებავთ მაშინ დებრუნდით, ოღონდ სამსახურში დროზედ მოდით ხოლმე.

— მე ცოცხალი ადამიანი ვახლავართ და არა მანქანაა, რომ თქვენი ბრძანებისამებრ დავწვე და ავდგე. თქვენ რომ გკითხოთ, დამეც აქ დამიჭერთ და ამ ქაღალდებს მაჩვენებთ. არა, ქალბატონო! დამე ჩემია და როგორცა სურს, ისე ვავატრებ.

— კი. რატომო! როგორცა გსურდეთ, ისე გაატარეთ, ოღონდ თქვენს საქმეს დროზედ მოხედეთ.

— ესე იგი მამლის ყ ვილისას აქ ვიყო, განა?! არ შემიძლიან! მე სამსახურში ვალავართ და არა კანტორგაში!

— ახ, აღმერთო:

— თქვენ, ბატონო, რაღაცა ვაქვთ ჩემ წინააღმდეგ, შარს მიდებთ, მდევნით! ბარემ პირდაპირა ბრძანოთ, რომ წინააღმდეგი ხართ ქალის შრომისა და ქალების თანასწორობისა.

— არა, აქ ლაპარაკით, თხოვნებით და ჩაგონებთ არა გაჟოვა რა. უნდა დავითხოვო, მეტი ჩხრა არ არის.

— უკნასკნელადა გთხოვთ, თქვენს საქმეს მოუარეთ, თორემ ძმულებული ვიქნები მისი აღმატებულება! ვენახო და..

— მე უკვე ვნახე მისი აღმატებულება! წუხელ კრუჟოკში ერთად ვივანშმეთ, მერე ავტომობილით გავსერიეთ და..

— და მთელი დამე არ დავაძინაო, განა?

— დიად, ძალიან გვიან დავბრუნდი და დღესაც იმიტომ დავიგვიანე.

— ისე რომ..

— დიად!.. დიად! სწორედ იმ-ტომ დავიგვიანე.

— მაშეგ იყო თქვენი შრომ? აქ, კა ბრძანებდით, შრომით მინდა მოვიპოვო თანასწორობაო! აჰ, ნეტავი მართლა სრული თანასწორობა სუფევდეს და მისი აღმატებულების სავარძელში, ერთი დარბ ისელი, დამჯდარი ქალი იყოს გამოქიმული.

— რა კარგი იქნებოდა? მაგრამ არა, მოითმინეთ... ქალი მის აღმატებულების აღ-

გას?! ღმერთმა დავგიფაროს! ღმერთმა გვიხსნას!!! ეგ, ბატონო, თანასწორობა კი არა, სრული დამონაგება იქნება ქალისა, საცა კობტა ჰიქია, მის აღმატებულების მანუვეშებელი შეიქნება და ქალებს შრომის მეტი აღარა ეღირსებათრა. არა ბატონო, მაგისთანა თანასწორობას მე დღევანდელი დამონაგება მიჩვენია.

მახლას

კრიტიკული შეცთომები *)

I

მეც ვიტყვი

დიდი ხანი ან არის მას შემდეგ, რაც კრიტიკული წერილები ჩვენს ლიტერატურაში სწინდით იყო საქებაარა მე-19 საუკუნის ჩვენს შუენალებში ათასში ერთხელ თუ შეხვდებით კრიტიკულ წერილს — და სოგიერთი შუენალი სრულიად მოკლებული იყო კრიტიკულ წერილებს.

დღეს კი სულ სხვაა დღეს „კრიტიკოსები“ თითქმის ისე მომრავლდენ, რაგორც „მოგონებები“, და თითქმის ყოველ „მოგონებასა და სხვაგვართ მწერალს თავისი „კრიტიკოსი“ უავს, რამელიც კისრულადს ხოლმე მის მთავრელობას, პატარადასავით, სხაღჯადა ქალისავით „სალი ლიტერატურა სალონებში“ გამოყვანას და გასპონებას..

მე არავის მთავრელობას არ გკისრულადს და არავინ გამოიყვანს „სალონებში“, მაგრამ მანინ მინდა ხეში „კრიტიკული შეხედულება“ მკითხველებს გავუზიარო.

კარგათ მესმის, რა ძნელი საქმეც არის კრიტიკოსობა. ნამდვილი, ჭეშმარიტი კრიტიკოსი დიდათ განვითარებული უნდა იყოს გონებრივით, ფილოსოფიური მეცნიერებით აღჭურვილი, დიდი მცოდნე წარსულისა და თანამედროვე ცხოვრებისა, კრიტიკოსს დიდათ მასწავლი „სმენა“ უნდა ქონდეს, გულის სმენა — შემგნებელი სიღამაზისა, მშვენიერებისა.. და ყველა ეს თვისებად არ გამოვა: ამდენი სიმდიდრით აღსავსე კრიტიკოსიც ნამდვილ სამსახურს ვერ გაუწევს

*) ამ სათაურით რამდენიმე წერილი დაბეჭდებულა დაღა განხილული იქნება ზოგიერთი ჩვენი მწერალის იტორი.

კრიტიკას, თუ მას წმინდა სინიდისი და გული წრფელი თან არ ახლავს.

არაინ კი დღეს ამისთანა კრიტიკოსები?

არა თუ ჩვენში, უფრო განათლებულ ქვეყნებშიც აშკარა კრიტიკოსი სხნთლით სძებარია. დღევანდელ კრიტიკაში საზოგადოთ უფლებან სუბიექტიური გრძნობა, პირადი სიმშატია და ანტიპათია სჭარბობს—და ჩვენში ხომ, განსაკუთრებით მას შეიძლება, რაც „პარტიები“ გახნდენ, კრიტიკაშიც უმთავრესათ „პარტიული“ ხასიათი მიიღო. სშირია იმისთანა მოფლენა, რომ „კრიტიკოსი“ „თავისი პარტიის“ პაწაწაინტელა მწერალს ცხმიდი ამადლებს და ადიდებს, „სხვა პარტიისა“ კი რიგიან მწერლსაც—მიწასთან ასწორებს. აშვირებს, „მასხარათ ივლებს“. სშირია იმისთანა მოფლენაც, რომ პირათ რისთვისეუ გაბრახებულე „კრიტიკოსი“ ებდღენებს ხელეუ თავის „გამაბელხებელე“ მწერალ-მოფლავს, როგორც ქორი კაკაბსა, და კაწრავს, ქელავს, ბრახის მორეუში ახნობს... და უგელა ეს იმიტომ ხდება, რომ დღეს ძველებურათ არავინ ღოცულობს: „გული წმინდა დაბადე ჩემთანა, ღმერთო, და სული წრფელი განმიასხე გვამსჩემსა და სდაც წმინდა გული და წრფელი სული არ სუფევს, იქ სიმართლესა და სამართლიანობას ადგილი არ აქვს.

ჩემ-მიერ ზევით აღნიშნულს ჭეშმარიტი კრიტიკოსის თვისებებს საზოგადოთ ვერ დავიჩემებ, მაგრამ ერთი დირსება კი არ შეიძლება არ ადვიარო ჩემში სახელდობ—გულწრფელობა: იმას ვიტყვი, რაც მწამს, რასაც დამშვიდებულე გულათა ვგრძნობ.

ამასაც კი გეტყვი, რომ დღევანდელი კრიტიკა სშირათ საღობის „კვლევების“ მსჯელობას მოგვაცანებს:

— კნენა, წავიკითხეთ ეს წიგნი? (უთოთ რამანსე იქნება ლამარაკი).

— წავიკითხე! ოჲ, რა საუცხოა!

— შინც რა ნახეთ მოსაწონი?

— ოჲ, ნულარ მკითხავთ, შეუდარებელი:ო,— უმასუხებს კნენა და საბუთად გულსე ხელს დაიდებს. ან, თუ არ მოსწონთ, გიმასუხებენ: „ფუ, საძაგელი:ო— და ტუჩს აიბსუებენ. ჩვენი კრიტიკოსებიც სშირათ იქვეგვიან ასე: ამოსწერენ გასარჩევი ავტორიდან გძელ-გძელ ციტატებს,

წინ წაუმიდგვარებენ ხელეუ მოწონების ან დაწუნების გამამხატველ ფრახებს: „აი რა საუცხოა მანგებია:ო!“ ან: „აი რა მახინჯი ნაწარმოებია:ო“—და მორჩა და გათავდა!..

ასე გამოდის, რომ კრიტიკათათეული მკითხველის პირადი შთაბეჭდილება უოფილა, რომელიც ან ოპებით გამოიხატება ან ფუებით!.. დე ასე იოთ: მეც ვიტყვი ნემს ოპს ან ჩემს ფუს. უოგელ შემთხვევაში ეს ჩემი ოპი და ჩემი ფუ შედეგი იქნება ჩემი წრფელი რწმენისა და არა მეგობრული სიფარულისა, გინა მტრულე სიძულვილისა.

II

„მიეცი თ კენსარსა კენსრისა და ღმერთსა ღვთისა

(Suum euggie)

დიდი უბედურებაა, რომ დღეს ჩვენში მოდვაწებს დირსულათ ვერ აფასებენ. თამამათ შეიძლება ითქვას, რომ არსად დედამიწის ზურგზე არ არის ისეთი გადაჭარბებული დაფასება მოდვაწებისა, როგორც ჩვენში,—გადაჭარბებული შეფასება როგორც დირსებისა, ისე ნაკლებელებებისა, მადლისაც და ცოდვებისაც. ან ცხში უნდა ვანავრდოთ, ან ქვესკნელში უნდა ჩავფლათ: ზომიერების საზღვარი ცხსა და ქვესკნელს შუა ჩვენში არ არსებობს.

რადესაც აქიმი თოფურია გადაიცვალა, 100-შიდი გვირგვინი მართვეს, იმავე ხანებში გადაიცვალა რუსეთის ცნობილი ბელეტრისტი ანტონ ჩეხოვი—და მხოლოდ 70 გვირგვინი მოუვიდა. დამახასიათებელი ფაქტია ჩვენი შეგნების განსვენებული თოფურისა: მოდვაწობა თავის დროზე მქონდა განმარტებულე—და აქ დაარ გავიმეორებ. თუ გნებავთ, დავეთანხმოთ იმაცხს, რომ მისი მოდვაწობა ნაყოფიერი იო. დაუპირდაპირეთ ერთმანეთს ეს ორი მოდვაწე და ნიშანი მათდამი საზოგადოების პარტიციპებისა: 100 გვირგვინი პაწია საზოგადოებისაგან ვიწრო ფარგალში მოდვაწის—და მხოლოდ 70 გვირგვინი უზარმაზარი რუსეთისაგან ჭეშმარიტათ სახელოვან მწერალს!..

რომელიმე მოდვაწის იუბილეს ან დასაფლავების დროს ხალხის ასე უსაზღვრო აფრთხილება ზოგჯერთს პოეტისის ნიშნათ მიანია. მე კი მგონია, რომ ეს არის უტყუარი ნიშანი ხალხის განუფითარებლობისა, შეუგნებლობისა.

განვითარება და შეგნება მისინ არის, როცა კარგისა და ზვის გარჩევაა, როცა გვარაზნს კარგისაგან არჩევენ, კარგს — წარჩინებულისაგან და წარჩინებულს კიდევ — დიდებულისაგან. და როცა ეველასზე ერთნაირათ განჭვივიან — „დიდებულს გაუმარჯოსო“, როდესაც სშირათ ზვასზე წინამძღოლელსაც კი აშკარა უფსერულისა და სნეობრივი ტლანოსაკენ ნდობით მიუყვებიან, — მისინ ამავე ხალხის კივიანი, თუნდ გენიოსის მიმართაც, გუმარჯოსო — შეგნებათ არ ჩათვლება: ეს მხოლოდ ერთთ სსკვიბის ფუის აუოლას, ჯოგობრივი გამოსხაურება მუვირალ წინამძღოლებისა, და თუ ათასში ერთხელ, რიგინი წინამძღოლის მკობებით (ას, რა იშვიათაა ამგვარი წინამძღოლი!), ასეთი უკან ურუთ გაუოლა მდირეოდენ სარგებლობას მოიტანს, სამაგიეროთ ცხრანს-ათსმოცდა-ცხრამეტჯერ ხალხი ხრამში ჩაცვივა, ვინაიდან ნათქვამია: „ბრმა ბრმასა თუ წინაუძღვინ, არნიუე მთხრებლას შთაცვივიან“ — ა.

„მიეცით კვიისარსა კვიარისა და ღმერთსა ღვთისა“ — ა: ანა მარტო ნივთიერ საზღაურსე ითქმის ეს, ანამედ სნეობრივსედაც... ჩემის სხრით — უფრო სნეობრივ-მორალურსე, ვიდრე ნივთიერსე. მე ამასაც გეტყვი: ნივთიერი საზღაური ეველას ერთნაირათ მიეცით, ეველას ერთნაირათ უხაწილეთ საზღაო სსეუდასა და საზღაო გონებისა და სულისა, რათა იცოცხლონ და შესაძლებელი კეთილი მოქალაქენი შეიქნენ, — ხოლო ეველას ერთნაირათ ნუ ეტეპებით ატანებულა ტანის ცემით, ერთნაირი „ზარითა და ზემოით“ იმიტომ რამ —

„აჲს რამ ზვი არ ვუწოდოთ,
კარგს სახელათ რა დავარქათ?!“

სიკვანძო.

წარმავალობა

აწ ჩანგსა ჩემსა ეწვია სეედა...
ცხოვრების სენით დაავადებულა...
თუმც ერთხელ იგივე მოღახენით უდერდა
და მიჯნურს დამასს ეშინათ ამკობდა...
წარვიდნენ დღენი სხარულისა ..
განჭკრა გიფიჭვი ბავშური გრძობა...
და ვით უვაგილი გასაფხუსულისა,
ჩამოსტკანა ჩემი ახალგაზრდობა...

კ. ძიძიძე

ჩ ვ ე ნ ე ბ ა

ჰუძღვნი ჩ — ს — გ — ს

I

ცა იღუმალი, ცა მშვენიერი
ცოდვილსა მიწას ზედ დასკეროდა,
და ანგელოსი წყნარ ლმოზიერი
მუხლ-მოდრეკალი ღმერთს ევედროდა;
გულ-მხურვალ ლოცვას დადუმებული
შორს არე-მარე ყურსა უპყრობდა,
შური და მტრობა გააფთრებული
იმ ლოცვის ძალით უკუდგებოდა.
შეწყვიტა ლოცვა უცხო არსებამ,
ფრთა ფრთას შემოჰკრა, გაინავარდა,
ვითა სიზმარი — წმიდა ოცნება
გაჰქრა, გაფრინდა, ცას გადიკარგა,
და კვალსა მისას, ჰაერს შთენილსა,
ვარსკვლავთა გუნდი უციმციმებდა,
და ბადრი მთვარე, ვით დილა მზესა,
მას შეჰხაროდა, შეუქსა ჰგენიდა...
ამ დროს გამოჩნდა განრისხებული,
უგულო, მძლავრი, სუზარმაზარი
ეშმა, — მოჰქროდა მოძულეებული,
სასტიკი, მკაცრი, შეშაშიშარი;
ვით ქარიშხალი მიწას მოჰქროდა,
გარდუწყვეტია რალაცა აზრი...
მახარობელი გარდაელობა:
„შესდექ, ბედ-კრულო, გზა აღარ არი!“

II

ზავ ფრთებ-გაშლილი, შხამით დაცინვით
ეშმა ანგელოსს დასჩერებოდა,
ამაყ კილოთი, გესლიან ენით
მედიდურის ხმით ეუბნებოდა:
— „როს ედემს ვიყავ — ერთ აზრს ველ-
ტვლი —

მსურდა კაცთათვის თავისუფლება,
რომ ამემალლა კაცი ღმერთადღი
და მიმენიქა თვით ნეტარება!
მე თუ ვცდებოდი, მაშ რისთვის შეტქმნა
აღამიანი თავისა ხატად?
განა სალოთხე — თუ კი ხარ მონა
საამო არის — გინდ იყავ წფლობლად?!
მარქვი, რად არის კაცი და ჯილია?..
იმისთვის რომა მე ღმერთს ვებრძოდი!
თუ სახიერ არს, რად ვარ დევნილი?

მარტოდ იმისთვის, რომ არ დავმონდი
ჩემზედ გამწყვრალი კაცს რას ერჩოდა,
ედემისაგან რომ განაძევა?
სამოთხის კარნი რისთვის დაჰკეტა,
ხმლით ებგური რად დაყენა?..
მ. გრამ მის რისხვას გამოგვექეცი,
მახვილი დარაჯს ძალით ავართვი,
ბა! რად ვავლესე—კაცთ გარდავეცი
მთ განასწორონ მათ ურთი-ერთი!..
დახე მიწასა, რა რიგად ჰკენესის,
ხოლო ის კენესა—ჩემი ხოტბაა,
იქ სიცოცხლე სდულს—ხალხი ხალხს
ებრძვის

და იმ ბრძოლაში იტკბოებოდა!
დაე სისხლის ღვრით, ომით და ხმლითა
თავისუფლება მათ მოიპ-ვონ,
დე დაიტანჯონ განსაცდელითა,
რომ ნეტარება უფრო აფასონ!
გგრე ნაშოვნი თავისუფლება
ადამიანთა არ წაერთმევის
და, მენდევ, მაშინ ჩემი რწმუნება
საშვილის შვილოდ ვარდაიცემის!..
ზეციით დევნილი, იმედ გამწყდარი
მიწას შთავერე ჩემი გონება.
ჩემი სამეფო ესლა აქ არა
და კაცთა აზრი მემორჩილება!

უფლის კალთას ქვეშ, აღზრდილო ბალო,
შენ ვერ გაიგებ ჩემს სულის ლტოლვას,
ტყვილად გგონია, უგნურო ბავშო,
მიხვდე კაცთ ტანჯვას, მათ გულის ზრახვას!
გზა უსუსურო!!!.. გაღიხარხარა,..
მ. ხარობელი არ დახეულა,
ემშას თეთრი ფრთა გადააფარა
და თამამადა გამოესარჩლა: *)
— ეე შმავე, შენ სტდები—ეგეთი მცნება
პატ-ჟა არის—ხოლო მსახვრალი,
იწამე რომა შური და მტრობა
ამაო არის და წარმავალი.
მჯერა, რომ კაცა ჯერ კიდევ ბრმა არს

და ხოლო შენ აზრს ემორჩილება,
ნუ დაივიწყებ—მადლი ქვეყნად არს,
დრო მოვა—ყველა ეთაყვანებ!..
ბრძოლით და ომით დაღვრილი სისხლი
უ! ამართლობას ვერა წაჰრეცხავს,
არამედ კაცი ვგრედ აღზრდილი
სულის სიმშვიდეს სრულად დაჰკარგავს
კაცი, ყოველი, არსა, სამყარო
სიყვარულითა შექმნილი არის
ამოყვასი შენი რომ შეიყვარო“
უკვდავი მცნება აი ეს არის!
გახსოვდეს კარგად, რომ სიყვარული
საძირკველია თავისუფლების!..
ემშა ზაასით განრისხებული
ყურს აღარ უგდებს, მიწას ესწრაფის,
და კვალსა მისას ჰაერსა შეთენის
ვარსკვლავთა გუნდი ეშაღებოდა
და ბადრი მთვარე შეშინებული
უკუნს იფენდა, დაბნელდებოდა...
1914 წ. ი. მ



ვარდის ეკლესია

I ძუძლი

— შენ ეს მეორედ ერთი გორვანქა პუ-
რი მოგიტაცნია, გაქცეულხარ და ფული კი
არ მიგიცია.

— როდის ბატონო ჩემო, გუშინ თუ
გუშინწინ?

— გუშინ და გუშინ-წინაც... კანონმა
მოგისაჯა ერთი თვის ციხე, რადგან კერძო
საკუთრების მითვისებაა და დიდი სისაძაგლევ.

— ბატონო, მე იმის ნახევარი ცხვას გა-
დავეცი, ჩემზე უფრო მშვიერს, რომელსაც
სიმშვილი უშლიდა სირბილს. ფული კი არც
ერთს არა გვექონდა.

— ეგ სულ ერთია, კანონი იმას არ
ეხება გაქვს თუ არა. და შენ შეგეძლო თუ-
ნდა ძალღებობისთვის გექმია. პ.სუხს მაინც შენ
აგებ.

— აი ჩემი პასუხი..

— ერთი თვის ციხე..

— და, იქ პური იაფია თუ ძვირი?..

*) „СИРОТЬ“: — „ვერ გავაჩინეთ მართალი შინა-
რღმთი, ვითაკილენით“—შოთა რუსთაველ- თუმცა
ერისთავი სამშობლოში ამბობს: „ჩემი ხმალი ესარჩლე-
ბა ქვირე და ობლებს“, შეცდომაა დიდი. იმერეთში
რცხვას სარჩლედიდან გონიათ წამომდგარი-

— იქ ყველაფერი უფულოთაა. პურიც და... ხორცსაც მოგართმევენ...

— ოჰ, გმადლობ ჩემო კეთილო! მაშ იქ კი შევიძლებ პატიოსნურ ცხოვრებას.

ა დახმარება

— აჰა, უბედურო, საჩუქარი: სჭამე, ჩაიცვი და დაიხუტე.

— არ მინდა.

— როგორ თუ?! ამისთანა დროს... უქმელ უსმელი, ეგრე დაძონძილი და ცივ ლოგინში გახვეული?..

— რატომაც არა! გიკვირთ?

— მე მსურს... მე ძლიერ მსურს დაგვხმარო.

— მართლა? თქვენ იქნება მეშვიდე ცის სამყაროდან მოსულხართ?!.

— არა. დიდი ხანია გიცნობ. აქვე ვცხოვრობ, ზემო სართულში.

— კეთილი

— მიღე საჩუქარი.

— მოიტა, იქნება მაგით კიდევ გაგრძელდეს ჩემი ტანჯვა.

— ღმერთო ჩემო!..

— ნუ გაიკვირებთ. იქნება რაიმე ცოცხალი გაქვთ გამოსაყიდი?

— ოხ. წაიღე რამდენიც გინდა: ათი ოცი და მეტიც...

— მჯერა: გულკეთილი ხარ და მაშასადამე გულჩვილიც. აიღე და დამაყარე ფეხებზე, იქნება გამოთბეს. ო, როგორა მცია...!

— ფეხებზე?!

— ჰო, მაჯის უმთავრესი ძარღვი გადავიჭერი და ვკვდები ვარდისფერ ოცნების ბურუსში გახვეული... აი, ახლავე... ერთი წუთიც და...

— აა, ძარღვი? რა სისულელეა. ხომ მოკვდი და... შეიძლება გმეც დამარადდეს?.

— იქნება... მარა შენს სიცოცხლეს და იცავს პაწა ბარათი, რომელიც დიდი ხანია დავწერე.

— დღათ გმადლობ. მაშ მე წავალ...

— მოიცადე... კარებში სიკვდილი დგას და შეცდომით... მაგრამ, წაიღეთ თქვენი ფულები. იგი პაწა მდინარეში მაინც გაგიყვანთ, რომ ფეხები არ დაგისველდეთ საბედისწეროთ...

— მშვიდობით.

ა. ჭელიძე

შემოდგომა

სონეტი.

ეს შემოდგომა დანსლული,სახე მტირლი, როგორ მიათრევს მოწყენილად უფერულ დღეებს! შემოხვევია სამოსელი მინდვრებს და ტყეებს, ქარი იტაცებს ყვითელ ფოთლებს, როგორც ფირალი.

მზე აღარ ათბობს სქელ ღრუბლებში გამოზირალი, მიწა სველია. ორთქლი ასდის ყავარს ნაწვიპარს. შეაკაბიან ქალს ეუბნება ქალი სამძიპარს, და დაქცეულ ბეჭს ეჭიდება ბულა მყვირალი..,

გაძრცვნილ ნიგვზის ხეს შერჩენია საღდაც კაკალი, ბიჭი ქვას ესვრი, რტოს მოხვდება, გააქვს კანკალი და ძარს ვარდება, გაეხვევა დამპალ ფოთლებში...

სხვა არაფერი. არც სურათი მშიმე შრომისა, არც დროს ტარება. აღარ ისმის არსად სოფლებში მკვირცხლი მაყრული—ეს სილაღე შემოდგომისა...

კ. ჭიჭინაძე



ბოდბო. თ. ივ იოს. ჯანდიერი მოკლედი რუმინაის ფრანსტზე გმარულდა ბრძოლის დროს ენკ. 21 1916



მოწმენდილ ცაზე

მოწმენდილ ცაზე მოციმციმე ვარსკვლავთა შორის,
 თვით ქვეყნის თვალი, ბადრი მთვარე გზას განაგრობდა,
 მე-კა ცრემლებით ავსილ თვალებს არ ვაშორებდი,—
 მოკლული გული ნაღველის მეტს რაღას იგრობდა?
 თ-ვის ვერ ვართმევდი შავბნელ ფიქრებს ობლად შეთენილი,
 არ მოველოდი არც მეგობარს, აღარც გულის სწ რს;
 იმედის სხივი ჩამქრალიყო ერთ დროს ნათელი,
 ტანჯული სულის დასძლევად შორს ვიყავ, შორს, შორს...
 და მძიმე ჯვარი წამები ა. როცა მიმქონდა,
 ვნახე სიკვდილი საზარელი, დაუნდობელი;
 ის ბასრი ცელით გრიგალივით ჩემსკენ მოჰქროდა,
 მაგრამ დამინდო და აიღო დროებით ხელი... **ქნარი**

სეკდიანი მიჯნური

მგოსანი ალ. გარ. ქავჭავაძე
 (გარდაცვალებიდან 70 წ. შესრულების გამო)
 მისი ლექსი შევებით, ლხენით
 ხან მეჯლისში შეჭფრინდება...
 ხან რბის ველად, მარტო ჰგალობს
 უდაბნოში ვითა მწირი.
 შეჰკვენეს შავ ბედს ქვეყნისასა,
 ქვეყნისათვის ანატირი...

ილ. ქავჭავაძე
 თავისუფალ, ლამოუკიდებელ საქართველოში დაბადებული (1787 წ., ზოგთა ცნობით—1786 წ.), დაობლებულ, ძაძა მობურვილ და ნამუს ახდილ მამულში აღზრდილი, აღფრთოვანებული სპარსულ სამიჯნურ-სატრფილო ჰანგებითა, რომელთ წუთისოფელი სანაგარდო ბაღად მიუჩნევიათ და ევროპიის ღრმა მოახრეთა ნაწერებით გაბრძობილი, დიდი კაცის—საქართველოს დესპანის გარსევან ქავჭავაძის ძე და ნათლული რუსთა დედოფლის ეკატერინა დიდისა,—აი ვინ იყო ჩვენი მგოსანი ალექსანდრე ქავჭავაძე.

თავისუფლება-დაკარგულ სამშობლოს ნადგლათ დამოუგრაფი და მისივე სიშწარით გამაძღარი, რომელიც საქართველოს გასანთავისუფლებლად მომხდარ შეთქმულოებაში მონაწილეობისათვის შორეულ ცივს ქვეყნებში გადაასახლეს და ძალით ჩაუბშეს ტრფილება მამულისა,—აი ვინ იყო ალ. ქავჭავაძე.
 იგი მარცხი და რომ ბედს სათამაშო ბურთად გარდაექცივნა.

ჯერ დევნა, შევიწროება, მერმე მოწყალებით მოპყრობა უმადლესი მართებლობის მხრით, სამსახურში დაწინაურება, სხვადასხვა ომებში (რუს-ფრანგთა 1812.-14 წწ. ომ-შიაც კი) სახელოვანად მონაწილეობა, სხვადასხვა პასუხსაგებ კომისიის თავმჯდომარეობა, მთავრობის მინდობილებათა ბეჯითად აღსრულება, ახალ შეთქმულობაში მონაწილეობისათვის მეორედ გადასახლება, დიდთა კაცთა დამოყვრება, მალღა აღსვლა და ბოლოს საუბედურო სიკვდილი (1846 წ. ნოემბრის 5 მისი ეტლი ცხენებმა გაიტაცეს, გადმოვარდა, გონება დაჰკარგა და იმავე დღეს გარდაიცვალა თბილისში),—აი, ვინ იყო ალ. ქავჭავაძე...

იგი თავის დროის კვალობაზე ფრიად განვითარებულ-ნაკითხ და მოწინავე კაცად ითვლებოდა. ალ. ქავჭავაძის საზოგადოებრივ—სამწერლო სარბიელზე გამოცვლის დროს ჩვენში სპარსეთის მწერლობას ჯერ გავლენა არ დაჰკარგოდა, ხოლო ევროპული განათლება ფეხს იკიდებდა; ამიტომ ა. ქავჭავაძემ ერთნაირად შეისისხნობოცა საფრანგეთის ფილოსოფოსის ვოლტერის სკეპტიციზმი და სპარსულ მგოსანთა გრძობიერება მისი ორიგინალური ლექსები სატრფილო, სასიმღერო და გულის მომწყვლელ ჰანგითაა გაქვნილი, გრძობათა მიმოხვრის დამახასიათებელი.
 ორიგინალურ ნაწარმოებთა გარდა, სთარ-

გმნა: სპარსულიდან საადისა და ჰაფიზის ლექსები, რუსულიდან პუშკინისა, გერმანულიდან — ჰეტესი, ფრანგულიდან — გოლტერის „ალ-ზირა“, რასინის — „ფედრა“, კორნელის — „ცინა“ და ჰუგოს რავედნიმე ლექსა.

გარდა ამისა, დაწერა „საქარ-ველოს 1801—1831 წწ. მდგონარეობის განხილვა“, რომელშიაც აღნიშნულია ზეპოსხსენებულ წლებში მომხდარ აღდგენებათა მაზვნები.

ქავეჯავახის ნაწარმოებები პირველხანად ხელთნაწერად ვრცელდებოდა, (1829—32 წწ. ს. დოდაშვილის, გაზ. „თბილისის უწყებანი“ — ში თანამშრომლობდა, აქ დაბეჭდა პუშკინიდან ნათარგმნ. „ოცნება“.) მესამოცე წლებიდან ქართულ ყურნალ-გაზეთებში და კრებულებში იბეჭდებოდა, ცალკე გამოიცა 1881 წ. სრული, ღირსეული გამოცემა ჯერ კიდევ არ მოიპოვება.

ალ. ქავეჯავახე ცნობილია, ვითარცა შესანიშნავი ოჯახის მამა: უფროსი ქალი ნინო მითხოვდა რუსის გამოჩენილ მწერალს ა. ს. გრიბოედოვს, „ვთა ქუთისაგან“-ის დამწერს, მეორე ასული — ეკატერინე (1816—81) სამეგრელოს მთავარს, მესამე — სოფო ბარონ ნიკოლაის. შვილი მისი დავითი იყო, რომ ოჯახობიანად ტყვედწაიყვანა შამილმა 50-იან წლებში. დავითის ასული თამარი აღექვსანდრე ბატონის შვილის შვილს ერეკლეს ჰყავდა. მისი მამულგები კახეთის სუყეთესო სოფლები წინანდალი, მუკუზანი, ნაფარეული და სხ. საუფლისწულო უწყებამ შეისყიდა.

ალ. ქავეჯავახემ მეცხრამეტე საუკუნის ჩვენს მწერლობას თვალსაჩინო გავლენა დააჩინა: სამიჯნურო, მაგრამ სეველით მოსილი ჰანგი ჯერაც კიდ ვ ჰედერს ჩვენს ეგრედ წოდულ სატრფიალო დ რგინ ნაწერებში...

ი. — თელი

ი კ უ ლ ე ბ უ ლ ნ ი

გაგრძელება იხ. „თ. და ც.“ № 44

ღონ-იმ (მიდის დაბადების კიდობანისა, ფარდას მისწეუს გვერდზე, გააღებს კიდობანს და გამოაღებს იქიდან წიგნს. დიეგოს და კლარას) შეხედეთ ამას, ჩემო საყვარელო შვილებო; ხედვთ ამ დიდ წიგნს? იცით ეს რა არის? — ეს არის ის წიგნი, რომელიც ღმერთმა მოგვცა ჩვენ, ებრაელებს. ამ წიგნში აგვიწერა ღმერთმა თავისი წმინდა სჯული, კეთილი კანონები და მაღალი მცნებანი, რომ ის კაცი, ვინც-კი იცხოვრებს მის ბრძანებისამებრ, იქნება ბედნიერი მთელ თავის სიცოცხლეში, და ყველა ებრაელი მოვალეა აღასრულოს სუყველასფერი რაც კი სწერია ამ წმიდა წიგნში, ვინაიდან მხოლოდ ეს-და დავგრჩენთ ყველა ჩვენი საუნჯიდან, რომელიც გვქონდა წინედ ჩვენ მშვენიერ ქვეყანაში. ეს წიგნი გვიქადაგებს კარგ და კეთილ კაცად ყოფნას, ყველა კაცის კეთილსა და წყალობის მიზლვას, მორიდებას კაცის ბოროტთა ქნიდან, ღარიბთა და უმწეოთა შებრალებას, შებრალებას გვემულთა და დავგრძობითა; ყოველი კაცთა შეყვარებას და ყოველ ადამიანთან ძმურად ცხოვრებას კიდევ ბევრი სხვა კეთილი, წმინდა აზრები და დარგებანი სწერია ამ წი-

გნში, — რის სწავლასაც დაიწყეთო დღეის შემდეგ. ერთი ამ წიგნთაგანი მოგეცემათ, ჩემო შვილებო, საჩუქრად. თქვენც უნდა შეინახოთ, მუდამ იკითხოთ და იქნებთა ბედნიერი მთელ თქვენს სიცოცხლეში. ეს წიგნი დავიცავთ დროსა გაქიკრებისას; თუ რომ განსაცდელი მოგელოდეთ წაიკითხეთ ეს წიგნი, მოიგონეთ ჩვენი დიდებული მრავალ მოწყალე ღმერთი და ილოცეთ მის მიმართ — და ისიც ისმენს ლოცვას თქვენსა და გიხსნით განსაცდელისგან. — ჯერ ახლა კიდევ არ იცით რა სწერია ამ წიგნში — ამ ტომ არ ძალგიძთ შეიგნოთ რა დიდი საჩუქარია ეს, რომელიც თქვენ ამდამ გეძლევათ. მხოლოდ როცა შეისწავლით ამ წიგნს, მიხედვით რაცა სწერია შიგ, — მაშინ ის დამე სახსოვრად დაშთება თქვენთვის მთელ თქვენ სიცოცხლეში, ვინაიდან ამ ღამეს გარდაქმენით თქვენ ებრაელად, შვილებად იმ დიდი ერისა, ერისა ღეთისა. (ჰკოტნიის წიგნს და მაქვს ემაწვილეუბთანაც საკონეჯად).

დიეგო და კლარა. (ჰკოტნიან წიგნს, ეგეჯა იქ მუფანიც მიდის თითო-თითოდ და ჰკოტნიან წიგნს).

ღონ იმან (წიგნის ისევე კადობანში შეინახავს. კადობანს ჰკეტავს, და აფარებს ფრდას და ბრუნდება უმარადობითან). ეხლა რას იტყვი, შეილგო, ყველა იმ სიტყვებზე, რომელიც მე გ'ამბეო დღეს? გსურთ რომ იყოთ ებრაელები?

დიეგო. (ძალიან აღეფფეხება. სხე აწითლებული აქვს შეტის-შეტი აღეფფეხისგან). უეჭველად! უეჭველად! დედა და მამაც ხომ ებრაელები არიან! შენც, ჩემო ბატონო, და ყველა ჩვენი მახლობელი და ნაცნობნიც ხომ ებრაელები არიან! მე ძალიან ბედნიერი ვარ, რომ ებრაელი ვარ!

კლარა. მეც ძალიან მოხარული ვარ, რომ ებრაელი ვარ. მე მირადის ებრაელი ვიქმნები. თავის დღეში არავის არს ვავენებ!

ღონ იმან. (გადაუხვავს ერთხელ თავზე ხელს დიდის ადრისით). ვერე, ვერე, ჩემო სავარდლო შეილგო! დარჩით მირადის ებრაელი და ელოდეთ უფალს.

ღონ ალონსო. (სტუმრებს) აბა ახლა, ბატონებო, პატივი გვეცით და დაუბრუნდით ყველა თქვენ-თქვენს ადგილს. (ფერანდო მსახურს). ფერანდო! მიდი და მოიტა ის საჩუქრები, რომელიც დამზადებული გვაქვს ჩვენი შეილგებისათვის.

ფერანდო. (მიდის გამოქვაბულის კუთხეში და მოაქვს საუკეთესო საჩუქრება. სტუმრებიც გადასცემენ უმარადობებს ბუნაირ ძვირფას საჩუქარს, რომელთაც ეს უკანასკნელი დაამტკიცებინა და ასახე უბრუნავთ დიდის ნეტარებით).

ღონ იმან. ყველა ეს საჩუქარი, ჩემო ძვირფასო, ძალიან კარგი და საუცხოვო საჩუქრებია. მაგრამ შეილ-ზომ უფრო კარგი და საუცხოვოა ის საჩუქარი, რომელიც პარველში გ'ათავაზეს თქვენმა მშობლებმა: აი, ეს წმინდა წიგნი, რომელიც იქ არის. (უჩვენებს კადობანზე). ოდეს ისწავლით, გაიზრდებით და შეიგნებთ, მაშინ მიხვდებით რა დიდი საჩუქარიც არის და ამ საჩუქრებზე. უფრო მეტად გაგზავრდებით ჩემი საჩუქარი კი ეს არის შენთვის, დიეგო! (აძლეგს თეფილის¹) მშვე-

ნიერი შალითი; რომელზეც მოქარგულია ებრაული ასოები). ეგ ასოები შენი სახელია და შენ შალითაში კი თეფილინია, რომელსაც თავს დაიდებ ყოველ-დღე, როცა დღეები სალოცავად უფლის წინაშე. მაგ თეფილინიც კეთილი და წმინდა იტყვები სწორია, რომლის შესწავლასაც ხელიდან დაიწყებ.

დიეგო. (კამბორება ხელზე მასწავლებელს) გმადლობთ, გმადლობთ, ბატონო მასწავლებლო, ამ მშვენიერი საჩუქრისათვის.

ღონ ალონ. (ფერანდოს). მოიტა დეინო და ადი ზევით და უბრძანე მსახურთ, ვახშიში მოგვიართვან.

ფერანდო. (მიართმევს ტიქებს ყველა მოწვევულთ, სვავს „სადლეკტკოლებს“, ართმევს ერთმანეთ ხელს და უფლტავს ბუნაირად, განსაკუთრებით ამ ღოცით: „მომავალ წელს შიქს ისპანიის ქვეყნიდან!“ — ამ დროს მიდის ფერანდო ნელ-ნელა კიბის საფეხურებზე, ვაგარჯნს დაურდობილი და ოხრავს ხან გამოშვებით: „ჰო, — ჰო — ჰო!“, რას მიატანს ზემო საფეხურამდე და მოჭკიდებს ურდულს ხელს გასადებათ, მოისმის უცბად ბრახუნის ხმა გამოქვაბულის ზევით კარიდან. ფერანდო დაწევს უკან შემკრთადი, ჩამოვარდება და მოგორავს რაგდენიმე საფეხურიდან, რის ვაი-ვაგლასით შეიმაგრებს თავს ერთ-ერთ ქვემო საფეხურზე მაგიდასთან მსხდომი ძალიან შეძრწუნდებიან. რაგდენიმე სტუმართაგანს გავარდება ტიქა ხელიდან, სუვეელანი წამოიშლებიან თავიანთი ადგილებიდან და შეჭეულებს დაბნეული ერთმანეთს და ზემოთს კარებს, რომელიც ტერშია. სუვეელანს სხე გამოსატავს შეძრწუნებას და შიშს).

ღონ ალონ (შეკრებილთ გასცილდება და კეფისთან მიდის. ხმა უკანკალებს დაკითხვის დროს). ვინ არის მანდ?

ხმა სცენის ზევიდან. სახელითა მამისათა და ძისათა და სულისა წმიდისათა, სახელითა ჩვენი დიდის მღვდლის წმიდა ტორკემადისათა და დადგენილებითა მეფისათა, გიბრძანებ შენ, ღონ ალონსო დემენდოსა, გაალო კარი!

ღონა ლაურა. (შეჭივლებს საშინელის ხმით და დაეცემა ძიქს გულ შეწებებულად. რაგდენიმე სტუმართაგანი მისდევდებიან მოსაბრუნ-

¹ თეფილინი — სალოცავი ნივთი, რომელსაც ცამეტის წლის შემდეგ ყველა ებრაელი იღებს თავსა და მკლავზე ღოცვის დროს.

ნებლად. დანარჩენი სტუმართაგანნი იწეობენ სანთლებს ქრობას. საშინელი ჩარჩქალი ატუდება უცბად მთელ ოთახში, უგელა სტუმარნი გარბი. გამოარბიან აქეთ-იქით, თითქოს ეძებენ რატორ გადაარჩინონ თავი).

ხმა სცენის ზევიდან სახელოთა მამი სათა და ძიათა და სულისა წმიდისათა, სახელითა ჩვენი დიდის მღვდლის წმიდა ტორკვემადისათა და დაღვინილებითა მეფისათა ვიბრძანებთ შენ, დონ-ალონსო დემენდოსა, გაალო კარი! (ეს ხმა განშეორდება რაუდენჯე რმე. თანდათან უფრო შიშის ხარის დაძვრება. კარებზედაც თანდათან უფრო ძლიერდება ბზასუნია).

დონ-იშან. (რომეტიც აქამდე დაბნეული იდგა, გამოერკვეა უცბად და შიშითავე შეკრებილთ). ძმანო! მომისწინეთ რაც უნდა გითხროთ! (სუუუუუაწი მიხედვით იმისაკენ დაუღიან რას იტყვის) როგორც ხედავთ ყველა ჩვენ ახლა ხელში ჩაუკვივით ინკვიზიციას, როგორც სჩანს, ღვთის ნება ყოფილა, რომ ჩავეგდეთ ჩვენ ამნაირ ძმიმე და მწარ განსცდელში. ჩვენ ახლა აღარსითა გვაქვს სახსნელი და თავ-შესაფარი. ვაწინააღმდეგება ჩვენი სულის ტარტოროზებთან და მათთან ბრძოლა შეუძლებელია, რადგანაც ახლა აუცილებლად მთელ სახლს გარს არტყიან შეიარაღებულნი ჯარის კაცნი, ჩემო ძვირფასო ძმებო! მოიკრიბეთ ძალა და გარზნევით ამ უკანასკნელ მწარე წუთებში. ჩვენ არ გაუღდება მათ კარს, მაგრამ ისინი შემოვლენ. ხოლო მინამ კარებს დაშტვრევენ, კიდევ მოვისწრებთ ჩვენი მოვალეობის აღსრულებას, რომელიც გვძევს ახლა. (სტუმრები იკრიბებიან დაბადების კიდეების წინაშე. მოხუცი ფრანკლოც ძლიერ-ძლიოთა აღწევს დაბადების კიდეანაშდე. დონ-იშანუელი მოიუენებს დიეგოსა და კლარას გვერდით, გააღებს დაბადების კიდეანს და გამოიდეებს იქიდან ერთ დაბადებას. ამ დედან ჰიესის დასრულებამდე დაბადების კიდეანს დიარჩება).

ნ. ელიაშვილი—ბენ დავიდ
(გაგრძელება იქნება)



ორი წლის თავზე

(ქართული თეატრის შესახებ)

ორი წლის წინად გაზეთმა გულშემოხარავი ამბავი მამცნო: „ცეცხლმა შთანთქა და განადგურა ეროვნული ხელოვნების ტაძარი ქართული თეატრი“ო. უსაზღვრო მწუხარებით შევხვდი ამ მწარე სინამდვილეს და მახსოვს კიდევ, რომ ვიცრემლებოდი. იმ დროს ჩემ წინ გაჩნდა აწ უკვე განსვენებული მამა-ჩემი და მკითხა: რა, ხომ ვინმე ჩვენიანის სიკვდილი არ წერია მაგ გაზეთშიო. (მგონი არც ერთი ჩვენიანის სიკვდილი მეტად არ აღმაშფოთებდა იმ წუთში). არა, მამა, მიუგე მე, თბილისში დამწვარა ჩვენი ძვირფასი ქართული თეატრი—მეთქი. ნეტარ ხსენებულში თავი გაიქნია და მითხრა: რა გატირებს მერე, დიწვა, მხოლოდ კედლები და არა ხელოვნება და მისი ქურუმნო.

ეს სიტყვები ერთ მხრით საიმედო იყო მაგრამ განა არ ვიცოდი ჩვენი „სისწრაფე“ საქმის მოგვარებაში, რომ დაღუპულის სამაგიეროს დიდხან არ ვეღირსებოდიო. ვფიქრობდი, აწი სად უნდა განიცადოს სულმა ის კმაყოფილება, რომელიც ქართულ თეატრში განმიცდია ხელოვნების სისრულე—სისალით მეთქი და სულ ცრემლები მეღვრისებოდენ თვალებზე. 1914 წელი საშინელი შეიქმნა ჩვენი ერისათვის: ვინ მოსთვლის, რადენი უბედურება დაგვატყდა თავს ამ უკუღმართ წელს; ვწყველიდი გაბრაზებული უმაგალითო ომს, თითქო მის ძლიერ ქარიშხალს გაეღვივებინოს ჩვენი ეროვნების საუნჯე—ქართული თეატრის შთამნთქველი ცეცხლი, თუმცა, ვინ იცის, საიდან გაჩნდა ის ჩვენი დამღუპველი ნაპერწკალი.

დიდი ხანს არ გაუვლია მას შემდეგ, რომ შესდგა თეატრის სააღმარებლო კომიტეტი, გამოჩნდნენ გულშემატკვარ—შემომწირველნი, რამაც დიდი რმედი მომფინა გულს დაუბულ თეატრის სამაგიეროს აღდგენა-განახლებ-სა.

განვლო ორმა წელმა, მაგრამ ჯერ კიდევ არ ჩანს საძირკველი, რომელზედაც უნდა აშენდეს ის აგურები, მრავალ მხრიდან

რომ სწირავდნ და სწირავენ სამშობლოს გულ-შემატკივრები. მართლაც სატირელი მქონია ორი წლის წინად, თუ ამდენ ხანს კარდა-კარ ვაწოწიალებდით ჩვენი სცენისა და ხელოვნების ქურუმთ.

განვლო ორმა წელმა. გაჰყვეს მას ჩვენი უმოქმედობა და ეს მესამე წელი მაინც შეიქნეს მოწმე საქმის სასურველად დაწყებისა.

დიდი ბედნიერება იქნება, თეატრის აშენების მეთაურები შეუდგებოდნ საქმეს და ბეჯითად დაიწყებდნ შეგროვებას მსხვერპლს ახალ შემომწირველებსაგან.

ვისაც ცოტათი მაინც აინტერესებს სამშობლოს ავკარგი, ვისაც გული შესტკივა ჩვენი ქვეყნის ბრწყინვალე მომავლისთვის, იმედია არ დაიშურებს თვის წვლილს ქართულ თეატრის ასაშენებელ ფონდის გასაძლიერებლად.

საქიროა მხოლოდ საქმის მეთაურები ამოძრავდებოდნ, ჩვენც მიგვიხმ რებდნ და თვითაც დაგვეხმარებოდნ. საქმის დაყოვნება ხეირს არ დაგვაყრის. რაც მეტი დრო გაივლის, ქართველ საზოგადოებას უფრო გადაავიწყდება ქართულ თეატრის საქიროება. აღამიანი ხომ ყველაფერს ეჩვევა და მათ უმეტეს ამ ხაზინელ დროში ქართველი საზოგადოებაც შეეჩვევა უქართულთეატრობას. თბილისი ისედაც მშვენიერია და საზოგადოება მრავალ გასართობს იშოვის მაგრამ ჩვენთვის, ქართველთათვის აუცილებელ საქიროებას შეადგენ, რაც შეიძლება, ადრე აშენდეს ქართული თეატრი.

პროვინციისათვის ცული მავალითია ამდენ ხანს თბილისში ქართულ თეატრის აუშენებლობა. ამას წინად ერთს ინტელიგენტს ველაპარაკობოდი სოფლად წარმოდგენების ხშირად მართვს საქიროებაზე და მან შემდეგი მიბასუხა: თბილისს ორი წელიწადი ქართული თეატრი აღარა აქვს ჩვენი სცენისა და ხელოვნების ქურუმნი კარდა-კარ დაყოლობდნ და სოფლებს რა ეთეატრეწარმოდგენებო.

შეიძლება ის გრძნობდა სოფელს მეტი ქიროა ამ ხრითო, მაგრამ ეს მაინც მითხრავითომდა თვის გასამართლებლად: სათავი-

დანვე წყალი ამღვრეულად მიმდინარეობსო. ყველა ეს მანებელია ჩვენი ცხოვრების წინსვლისთვის, რაც მეტად მალონებს მე სამშობლოს ქირ-ვარამის უჩინარს მეთვალყურესა და გულ-შემატკივარს.

კლავდია ლ. გაბუნიას ასული

ქართველი მოღვაწენი



გ. ახალციხელი

(20 წ. სამწერლო მოღვაწეობის გამო)

არიან საერო საქმის ჩუმი მუშაკნი, ხალხის წინმსვლელობის გულწრფელნი მეგობარნი, რომელთაც საზოგადო მოღვაწის ბრძკვეიალა ნიშანი არ აკრავთ, ერთს რომელისამე დარგში სასცენო, სამწერლო, საეკლესიო თუ სხვა — „გამოჩენილნი“ არ არიან, მაგრამ ერის ყოველმხრივ დაწინაურებას მთელი თვისი ძალდონით ემსახურებიან არა უკვდავ ხელისათვის, არამედ თვისი სამშობლოს გაუკვდავებისათვის. :

ერთი ასეთი ჩუმი და ყოველმხრივი მუშაკია გ. ახალციხელი, იგივე გი ახელ. რომელიც ოციწელაა და ფხიზელი დარაჯივი თ ყურს უგდებს სამშობლო ქვეყნის ბედის ცემასა და შისი წინსვლისთვის გულწრფელად მუშაკობს.

ერის წინსვლისათვის საქიროა არა მხოლოდ დიდ-დიდ ტანიან წიგნების თვზა, სცენაზე მსხიობობა, რომელიმე საზოგადო დაწესებულებაში პირველ მიჩენილი სავარძლის დაქვრა, არამედ ყველა ამათი გავლენა-სიძლიერის ხალხში გადატანა, ჩვენი სულიერ ავლ-

ნებად. დანარჩენი სტუმართაგანნი იწყობენ სანაღებეს ქრობას. საშინელი ჩარჩქოლი ატულებს უცბად მთელ ოთახში, უგებლად სტუმარნი განბიკამობრბიან აქეთ-იქით, თითქმის ეძებენ რაგორ გადაარჩინონ თავი).

ხმა სცენის ზევიდან სახელოთა მამისათა და შიათა და სულისა წმიდისათა, სახელითა ჩვენი დიდის მღვდლის წმიდა ტორკვემადისათა და დაღვინილებითა მეფისათა გიბრძანებთ შენ, ღონ-ალონსო დემენდოსა, გაალო კარი! (ეს ხმა განშეოკდება რადენჯერმე. თანდათან უფრო შიშის სახის დასტევიან. კარებზედაც თანდათან უფრო ძლიერდება ბრახუნი).

ღონ-იშან. (რომეტიც აქამდე დაბნეული იდგა, გამოკრკვავს უცბად და შიშობთავს შეკრებილთ). ძმანო! მომისმინეთ რაც უნდა გითხროთ! (სუუგებანი მიასკედავენ იმისაკენ და ელან რას იტყვის) როგორც ხედავთ ყველა ჩვენ ახლა ხელში ჩაუცივდით ინკვიზიციას, როგორც სჩანს, ღვთის ნება ყოფილა, რომ ჩვეგდეთ ჩვენ ამნაირ მძიმე და მწარ განსაცდელში. ჩვენ ახლა აღარსითა გვაქვს სახსნელი და თავ-შესაფარი. გაწინააღმდეგება ჩვენი სულის ტარტოროზებთან და მათთან ბრძოლა შეუძლებელია, რადგანაც ახლა აუცილებლად მთელ სახლს გარს არტყიან შეიარაღებულნი ჯარის კაცნი. ჩემო ძვირფასო ძმებო! მოიკრიბეთ ძალა და განხევდით ამ უკანასკნელ მწარე წუთებში. ჩვენ არ გაუღებთ მათ კარს, მაგრამ ისინი შემოვლენ. ხოლო მინამ კარებს დაშტვრევდენ, კიდევ მოვასწრებთ ჩვენი მოვალეობის აღსრულებას, რომელიც გვძევს ახლა. (სტუმრები იკრიბებიან დაბადების კიდეზნის წინაშე. შახუცი ფერანდოც ძლივ-ძლიობით აღწევს დაბადების კიდეზნამდე. ღონ-იშანუედი მოიუენებს დიეგოსა და კლარას გვერდით, გაადებს დაბადების კიდეზნის და გადმოიქებს იქიდან ერთ დაბადებას. ამ დოდან ზიესის დასრულებამდე დაბადების კიდეზნი დაიბრება).

5. ელიაშვილი—ზენ დავიდ
(გაგრძელება იქნება)



ორი წლის თავზე

(ქართული თეატრის შესახებ)

ორი წლის წინად გაზეთმა გულშემზარავი ამბავი მაძენო: „ცეცხლმა შთანთქა და გაანადგურა ეროვნული ხელოვნების ტაძარი ქართული თეატრი“ო. უსაზღვრო მწუხარებით შევხვდი ამ მწარე სინამდვილეს და მახსოვს კიდე, რომ ვიცრემლებოდი. იმ დროს ჩემ წინ გაჩნდა აწ უკვე განსვენებული მამაჩემი და მკითხა: რა, ხომ ვინმე ჩვენიანის სიკვდილი არ წერია მაგ გაზეთშიო. (მგონი არც ერთი ჩვენიანის სიკვდილი მეტად არ აღმაშფოთებდა იმ წუთში). არა, მამა, მიუგე მე, თბილისში დამწვარა ჩვენი ძვირფასი ქართული თეატრი—მეთქი. ნეტარ ხსენებულმა თავი გაიქნია და მითხრა: რა გატირებს მერე, დაიწვა, მხოლოდ კედლები და არა ხელოვნება და მისი ქურუმნიო.

ეს სიტყვები ერთ მხრით საიმედო იყო მაგრამ განა არ ვიცოდი ჩვენი მსისწრაფე საქმის მოგვარებაში, რომ დაღუპულის სამაგიეროს დიდხან არ ველირსებოდიო. ვფიქრობდი, აწი სად უნდა განიცადოს სულმა ის კმაყოფილება, რომელიც ქართულ თეატრში განმიცდია ხელოვნების სისრულე—სისალით მეთქი და სულ ცრემლები მეაღვრსებოდენ თვალებზე. 1914 წელი საშინელი შეიქმნა ჩვენი ერისათვის: ვინ მოსთვლის, რადენი უბედურება დაგვატყდა თავს ამ უკულმართ წელს; ვწყველიდი გაბრაზებული უმაგალითო ომს, თითქო მის ძლიერ ქარიშხალს გაედვიებინოს ჩვენი ეროვნების საუნჯე—ქართული თეატრის შთამნთქველი ცეცხლი, თუმცა, ვინ იცის, საიდან გაჩნდა ის ჩვენი დამღუპველი ნაპერწყალი.

დიდი ხანს არ გაუვლია მას შემდეგ, რომ შესდგა თეატრის სააღმაშენებლო კომიტეტი, გამოჩნდენ გულშემატკვარ—შემომწირველნი, რამაც დიდი მემდი მომფინა გულს დაუბუღულ თეატრის სამაგიეროს აღდგენაგანახლებსა.

განვლო ორმა წელმა, მაგრამ ჯერ კიდევ არ ჩანს საძირკველი, რომელზედაც უნდა აშენდეს ის აგურები, მრავალ მხრიდან

რომ სწირავდნენ და სწირავენ სამშობლოს გულ-შემატკივრები. მართლაც სატირელი მქონია ორი წლის წინად, თუ ამდენ ხანს კარდა-კარ ვაწაწიალებდით ჩვენი სცენისა და ხელოვნების ქურუმთ.

განვლო ორმა წელიწადი. გაჰყვეს მას ჩვენი უმოქმედობა და ეს მესამე წელი მაინც შეიქნეს მოწმე საქმის სასურველად დაწყებისა.

დიდი ბედნიერება იქნება, თეატრის აშენების მცთაურები შეუდგებოდნენ საქმეს და ბეჯითად დაიწყებდნენ შეგროვებას მსხვერპლს ხალ შემომწირველებიდან.

ვისაც ცოტათი მაინც აინტერესებს სამშობლოს ავკარგი, ვისაც გული შესტკივა ჩვენი ქვეყნის ბრწყინვალე მომავლისთვის, იმედია არ დაიშურებს თვის წვლილს ქართულ თეატრის ასაშენებელ ფონდის გასაძლიერებლად.

საჭიროა მხოლოდ საქმის მეთაურები ამოძრავდებოდნენ, ჩვენც მიგვიხმ რებდენ და თვითაც დაგვეხმარებოდნენ. საქმის დაყოვნება ხეირს არ დაგვაყრის. რაც მეტი დრო გაივლის, ქართველ საზოგადოებას უფრო გადავიწყდება ქართულ თეატრის საჭიროება. აღამიანი ხომ ყველაფერს ერევა და მათ უმეტეს ამ ხაზინელ დროში ქართველი საზოგადოებაც შეეჩვევა უქართულთეატრობას. თბილისის ისედაც მშენებერია და საზოგადოება მრავალ გასაროობს იშოვის მაგრამ ჩვენთვის, ქართველთათვის აუცილებელ საჭიროებას შეადგენ, რაც შეიძლება, ადრე აშენდეს ქართული თეატრი.

პროვინციისათვის ცუდი მაგალითია ამდენ ხანს თბილისში ქართულ თეატრის აუშენებლობა. ამას წინად ერთს ინტელიგენტს ველაპარაკობოდი სოფლად წარმოდგენების ხშირად მრთვეს საჭიროებაზე და მან შემდეგი მიპასუხა: თბილისს ორი წელიწადი ქართული თეატრი აღარა აქვს ჩვენის სცენისა და ხელოვნების ქურუმნი კარდა-კარ დაყოლობდნენ და სოფლებს რა ეთეატრეწარმადგენებო.

შეიძლება ის გრძობდა სოფელს მეტი ქირია ამ ხრითო, მაგრამ ეს მაინც მითხრავითომდა თვის გასამართლებლად: სათავი-

დანვე წყალი ამღვრეულად მიმდინარეობსო.

ყველა ეს მავნებელია ჩვენი ცხოვრების წინსვლისთვის, რაც მეტად მალონებს მე სამშობლოს ქირ-ვარამის უჩინარს მეთვალყურესა და გულ-შემატკივარს.

კლავდია ლ. გაბუნიას ასული

ქართველი მოღვაწენი



გ. ახალციხელი

(20 წ. სამწერლო მოღვაწეობის გამო)

არიან საერო საქმის ჩუმი მუშაკნი, ხალხის წინმსვლელობის გულწრფელი მეგობარნი, რომელთაც საზოგადო მოღვაწის ბრძევილა ნიშანი არ აკრავთ, ერთს რომელისამე დარგში სასცენო, სამწერლო, საეკლესიო თუ სხვა — „გამოჩენილნი“ არ არიან, მაგრამ ერის ყოველმხრივ დაწინაურებას მთელი თვისი ძალღონით ემსახურებიან არა უკვდავ ხელისათვის, არამედ თვისი სამშობლოს გაუკვდავებისათვის. :

ერთი ასეთი ჩუმი და ყოველმხრივი მუშაკია გ. ახალციხელი, იგივე გი ახელ. რომელაც ოციწელწადაა ფხიზელი დარაჯივი თ ყურს უგდებს სამშობლო ქვეყნის ბაჯის ცემასა და ჰისი წინსვლისთვის გულწრფელად მუშაკობს.

ერის წინსვლისათვის საჭიროა არა მხოლოდ დიდ-დიდ ტანიან წიგნების თხვა, სცენაზე მსახობობა, რომელიმე საზოგადო დაწესებულებაში პირველ მიჩენილი სავაძლის დაქტრა, არამედ ყველა ამათი გავლენა-სიძლიერის ხალხში გადატანა, ჩვენი სულიერ ავლ-

დიდების გავრცელება, რომ ფართო საზოგადოება, ხალხი ეზიაროს ყოველთვის იმას, რასაც ერთი და ორი შეჰქმნის...

სწორედ ერთი ასეთი მუშაკთაგანია გახალციხელი.

ათი წლისა ძლივს იქნებოდა, რომ უფროსი ძია და ბიძების ზეგავლენით ხალიანად დაიწყო სამშობლო მწერლობის განცობა-შესწავლა; ცხოვრებაში გამოსვლისთანავე მხნედ შეუდგა მის გავრცელებასა და თვითონაც ჩება სამწერლო-საზოგადო შრომაში.

მისი წვრილწვრილი, სხარტულა, უხამიანი მაგრამ ამავე დროს ქვეყნის უსაზღვრო სიყვარულით აღსავსე წერილები ჩვენი ცხოვრების საქირ-ბირობა კითხვთა შესახებ ამ ოციოდე წლის განმავლობაში, ხშირად იბეჭდებოდა ჩვენს ქურნალ-გაზეთებში.

როგორც სათეატრო რეცენზენტს, არა ერთი და ორი წერილი მოუთავსებია ქართული სახიობის შესახებ როგორც ქართულს, ისევე რუსულ გამოცემულში.

მისი რეცენზიმე მოთხრობა ქართულ გამოცემაშია დაბეჭდილი, ერთი საყმაწუ. პიესა „ობოლი“ ნაკადულში“. რუსულიდან სთარგმნა ლ. ტოლსტოის „ცოცხალი გვამი“ (ექვსჯერ ზედი ზედ დაიდგა ქართულ სცენაზე), ბაქოში სამსახურის დროს მისი ოჯახი იყო ერთი პირველი კერათაგანი, სადაც გადიდებდა ზაქოს ქართველთა მუყითი მუშაობა სასცენო, სასკოლო თუ სხვა ასპარეზზე. აქ სამსახური აქამს თანამგრძობელთა დახმარებით შეადგინა „ბაქოს ქართ. წიგნების გამომცემლობა“ და გამოსცა რეცენზიმე სახალხო რეფ. ფასიანი (მ-ნ კ.) წიგნაკ: 1, „ქართული ეკლესიის აკლგა“, 2, „როგორ მოაბოვა საფრანგეთის ხალხმა მიწა და თავისუფლება“, 3, „ზღაბარი წყლის შესახებ“, 4, „ავტონომია და ფედერაცია“, 5, „ბავშვის აღზრდა“, 6, ილიას სახსოვარი ბარათები და სხ. და ყველა ამგანამოცემათა გვირგვინი „აკაკის იუბილე“ (ფერადოვანი სურათით) და „ილია ჭავჭავაძის სიკვდილი და დასაფლავება“, ვეება ტანის წიგნი, მრავალის

სურათით, საუცხოო გამოცემა, რომლის შესახებაც პრ. აღ. ხახანაშვილი სწერდა: „ეს წიგნი ყოველი შეგნებული ქართველის საქაროცბას უნდა შეადგენდესოა.“

მაგრამ ყველა ამაზე უფრო საყურადღებოა მისი ქართველ მწერალთა ნაწერების რუსულად ნთარგმები „Грузинские беллетристи в образах“-ის სათაურით: გადათარგმნილი აქვს ჩვენთა მწერალთა საუკეთესო სანიშუშო ნაწარმოებნი და რუსულ გამოცემებში დაბეჭდილი ავტორთა მოკლე ბიოგრაფია-დახასიათებით. ეს ერთი საუკეთესო შრომათაგანია, როგორც დედნის სულის შეცნობით და უცხო ენაზე საუცხოვოდ გადაღებით, აგრედვე მისი განხორციელების გეგმით. სამწუხარო მხოლოდის არის, რომ დღემდე ეს შრომა ცალკე წიგნად არ არის გამოცემული რუსთა და სხვა საზოგადოების გასაცნობად.

რომელიმე ერის გასაცნობად მხოლოდ მის წევრთა პასპორტებს კი არ უნდა ვიხილავდეთ არამედ ამ ერის საუკეთესო შვილთა სულის შემონაქმედს.

ასეთია მწერლობის ნიმუშება და თუ ჩვენი მეზობლები თავს გამოიდებენ ხოლმე, რომ თვის მწერლები სხვათაც გააცნონ, ჩვენ სრულიად უყურადღებოდ ვსტოვებთ ჩვენის მწერლობის გავრცელებასა და მის მუშაკთა ნაამაგდარს...

კაცს ფოლადის ხასიათი უნდა გქონდეს, რომ ასეთ გულცივ საზოგადოებაში მიინც მუშაობდე.

და ერთი ასეთთაგანია გ. ახალციხელი. იგი ჯერ ახალგაზდა, 40 წ., მამულის სიყვარულითა და ხალხის გათვითცნობიერების ხალისით გატაცებული. იმედი ვიქონიოთ, რომ იგი თვის კულტურულ შრომას გაათქეცებს მით უმეტეს, რომ ჩვენში ჯერ კიდევ ცრუ სიტყვის კაცი ბევრია, საქმის მხენი კი მტირელი.

იოსებ არიმათიელი





დედის მოთმა

გამწარდა ჩვენი ცხოვრება,
 კვენსაა ჩვენი ძილიო,
 შხამით და გესლით საზრდოობს
 დედა, წული და ჩვილიო...
 ზოგისა ქმარი წაიდა,
 ზოგისა სიყრმის შეილიო,
 იქ ბრძოლის ველზე დახოცილით,
 აქ დღე გვიმწარეს ტუბილიო...
 კერაში ცეცხლი ჩაგვიქრეს,
 ჭირზე დაგვირთოეს ქარო,
 ჩვენი უფლებების ტაძარი
 წაილწეს,—ამას ვსტიროი!..

იაგო ტეტუნაშვილი

რისთვის მინდა?

რისთვის მინდა ჰანგი ტუბილი,
 რისთვის მინდა ხელოვნება,
 „სევედა“ ანუ აღმაფრენა,
 თუნდ მზის სხივთა ელვარება?

თუ ჩემებრივ ყველა ვერ უგრძობს
 ვერ დასტუბება, ვერ გათბება,
 ვერ მოიცავს სევედა მწარე
 და ყოველთვის ყრულ დარჩება.


თუნდა სწავლა-განათლება,
 თუ ყველას არ ეფინება! —
 რად მინდა მე? — ოხრად და ჩეს,
 თუ მათ ტანჯვა მემატება.

ბარ ხერხეულიძე

კამეზანი

მოწყენილია მთელი სამყარო
 მოწყენილია, ვით ჩემი სული...
 მზღც აღარ ათბობს ობოლ ქვეყანას
 სევდით სავსეა მნათობის გული.
 ერთსა კამეზანს, კამეზანს, ურვას,
 გარემოთუ კავს სამყარო ვრცელი
 და მოზიარეს სოფლის ვარმისა
 მეც გულს მისუსტებს ფიქრები ბნელი.

გ. ჯანიაშვილი



სახალხო სახლში 28/X სსს. სსხ. ანს.

ქარ. წრ. წარმადგენის მოღვივების 5 მოქ. კომ.
 „ტარტიუფი ანუ მუშმუხუჯა“ თარ. ივ. მაჭა-
 ვარიანისა. როგორც მკითხველს მოეხსენება. ევ-
 რომაულ კომედიის გმირების დამახასიათებელი
 თვისებას სსსცალო სიტუებებში კი არ გამოიხს-
 ტება, არამედ მათ სსსცალო მოქმედებაში. იქ
 აქტიობაში მხილდება მათი გიწრო და ცალმხრი-
 ვი ბუნება, მათი სუსტი სსსაითი, რაც მსმენე-
 ლში იწვევს, წინააღმდეგ მხარულ ხარხარისა,
 ნადგვიან სიცილს, სიბრაღელს. აქ თქვენ ცნო-
 რების მაჯის ცემის გრძობთ, ნაქელ ტიპებს.
 სსსაინარულოდ უნდა ავღვნიშნო, რომ ზემო-
 სკენებულმა წრემ, ზოგაერთის გამოკლებით, სრუ-
 ლი ადღოს ადებით გაღმთგვცა კვ ნიშანდობ-
 ლივი თვისება ევრომაულ კომედიისა და კერ-
 ძით მოღვივების „ტარტიუფისა“. აქ ჩვენს წინ
 საბრადო ადამიანები სცნოვრობდნენ, ბრმა მორ-
 წმუნები, მოკლებულნი ნებას და მტკიცე ხსისათს
 ხამწყხარო სსსცალო ზიროვნებანი... ბრმა მორ-
 წმუნე ორგონის განსახიერებაში მრავალი ნათელი
 ხსი მთგვცა თავის აწონილ-დაწონილ თამაშით
 ბ. ნ. გოცირიძემ. წარმადგენის დასაწვისშივე
 ეურადღების მთავარ ფოკუსად გადაიქცა და
 ტუვევებულ მსმენელთ უკანასკნელ ფარდამდე თან
 და თან იზიდამდა. ეს ხსიქადულა დირსება,
 ტუქსარიტად მას თკლსახანო მსახიობად ქმნის
 სშირად იმდენათ ძლიერია მსახიობის გავლენა
 დამსწრე საზოგადებაზე, რომ მსმენელთ თავი
 ვერ დაუხწყევით სხვისკენან მიიღონ ეურადღე-
 ბა... მსმენელისა თავის და მათსორის საურთი-
 ერთო სუღიერა ქსელია გაბმა, გამართლება
 ეოგვადგვარ არტისტიულ საშუალებებისა, — მხო-
 ლად მაღალი ნიჭით დაჯილდოვებულ მსახიობს
 შეუძლია... ასეთივეს, მხოლოდ სხვა გზით მი-
 მავალს მსახიობს წარმთადგენს ბატ. რომანი-
 შვილი, რომელმაც ამ დამეს მდიდარი სახე ცრუ
 დთვის მმოსავი ტარტიუფის გადმოგვცა. ნიჭით
 ძლიერს უოველ რაღმა სუბიექტიურ — არტის-

ტიულ იარაღში ზის სლიერ ესეჩსება ინდივიდუალური ტიპის შექმნა, საკუთარი „მე“სი განაწილება. ბ. რიზნიანოვი ეველგან საკუთარ როლში კარგი „მარანა“ იქნებოდა ქალ ან ქიქტი, რომ ზირველ მოქმედებაში ოდნავ დრამატული ტონი არ შედო. მისახიობ ქალს ძლიერი გონება აქვს, მაგრამ ძუნწობს გონების ინტინტივის მოცემაში ვიდრე მოქმედებაში განხედობდეს ნაკეთი სახისა, მისახიობის მოქმედების ტაქტს წინ უნდა მიუძღოდეს განებას მისხსეულობა განსახიერებულ ტიპისა. მსაღოდ ამ შემთხვევაში შეუძლია მისახიობს მაქვეუბნ საიღულო და ძახილს შემინაქმედ შარაუნებისა და მსემი ხელნიც გაიტაცოს. სუსტი ვაღერა იყო ბ ვინიტი. მისახიობს გარდა ცოცხლა და ფხახელი მოქმედებისა, აცეცლებდად არტისტიულ ტაქტის დამუშავებაც ესაჭიროება: გარკვეული და ზომიერი შიშდინარება მოქმედებისა. არა უშავდა „ლორინის“ როლში ქალ. მარვევლაშიდს სუსტი დამა—მეტრეველი. სუსტი და ცივი კლენტი, გ. ჟახურა.

ნაძალადევის თეატრში კვირას, ღვინობისთვის 30 სტენის მოყვარებებსა ვ. გამურელიძის რეჟისორობით წარმოდგინეს ტ. რამაშილის „მეზობლები“, ავტორის თანდასწრებით. ზოგიერთმა სტენის მოყვარებმა ძალიან გულგრილობა გამოიჩინეს, —თითქმის როლები არც კი ესწავლით. რის მიზეზითაც ზიესამ მწუხრად ვერ ჩაირა. ზოგიერთმა ხსელ ძალას არცეი ესმოდა, ნაკისრი როლი რას წარმოადგენდა. გ. იქანდელაკს (ირაკლი მარშანიტი) გამოთქმა არ უყარა, მაგრამ ვოველთვის დაკვივებით ასრულებს ნაკისრ როლებს, ამ სადამოსაც შესაფერისად ჩაატარა ნაკისრი როლი. ზიესის უმთავრეს გმირის მენაბდიშვილის როლს ასრულებდა ა. გოგაშვილი. ამ სტენის მოყვარეს იშვიათად უშავის ვაცი ნაკლს. შ. დანდოშვილმა (გრუშენგსკი) ზედ მოწვენიტ განსახიერა. ნ. დანდოშვილსამ (გნ. კატო მარშანიძისა) შეუგებდად ჩაატარა: ალბათ ვერ წარმოადგინა, როგორი უნდა გაფაღიუო გნეინა კატო. ქნი შედი (ოლინკა), და ეს. ვაციტიქე (სოსიკო) კარგები იყვნენ. არა უჭირდა ვ. კუდუხაშვილს (ლ. გელგენიძის) ქნი ფარახელი (გნაყუნა ტასო მარშანიძისა) ზირველად გამოვიდა სტენისე, როლი რა სცოდ.

ღ. გ. მ. ანნა იმედაშვილისა

ნოდ კარგი იქნებოდა. ქნი ესპერო (გნ. თამარი) დიდი დაკვირვებით ასრულებდა როლს. გ. შავშიშვილი (სკოტიქე) და წეროქე (ფანბილერი) მოისურებდნენ. დასასრულ გამგეობის ზოგიერთ წევრს თითქო თავისი მოყვლეობა დაგიწებოდეს, წესრიგის დაცვას ეურს არ უცდებს და მოელი შრომა მარტო ქართველიშვილს აწევს.

სოსო
წიკილი რედაქციის მიმართ
 დიდათ პარიცეუმულა ქნი რედაქტორა! უმორჩილესად გთხოვთ გადასცეთ ქართულ კულტურის მოყვარულთა საზოგადოებას აგარაკის ასაშენებლად 30 მქალაქის ფოსტის მოხელეთაგან (ამანათების განყოფილებაში) შემომწირულთა სია: კანტარამ 3 მ. ამ. კონტრიძემ— 3 მ. თამ. ავლიანმა, 5 მ. გ. სამსონიძემ, ვარ. ბ. გინოვმა, დაო. სამხარაძემ, ვლ. ვაშაკიძემ, კუზმა კოსილოვმა, სტ. დიატლოვიჩმა, შიო ლოხაშვილმა, ეგჩანტურიამ, კირ. ზამბოიანმა, პლ ვალიციკი, სიკო შერაძემ. გ. სტეპანაიანცმა, ჰუსეინ ზაველაძემ, გ. ვედვეანივმა, ნიკ. ოსიპოვმა, ტერენტი ყანაველმა, ვკატ. ბუცენ-ბერლინსკომ, ვარო და მიშამ (მეუღლე და შვილი ს. კონტარიას) თითო 1 მ. ს. ილორელი.

- ახალი კლუბი** 1 კვირის პროგრამა 6 13 გიორგობ.
კვირა—რუსული წარმოდგენა. ბილეთები 50-30 კ.
ორშაბათი—ოპერეტა. ბილეთები: 1 მ.-50 კ.
სამშაბათი—სიმფონიური კონცერტი.
ოთხშაბ.—სინემატოგრაფი.
ხუთშაბ.—ქართ. წარმ. ბილეთები 50-30 კაპ.
პარასკ.—ოპერეტა. ბილეთები: 1 მ.-30 კ-დე.
შაბ.—სიმფონიური ორკესტრი კონცერტი მ. ა. ვოლფი-იზრაელის ხელმძღვან.
კვირა რუსულ წარმოდგენა. ბილეთ. 5 30 კ.
დასაწყისში: კონცერტებისა სილამ. მ. სიბო...
წარმოდგენისა და სინემატოგრაფი. საღ. 8 1/2 სა
უმახვლელი ფასი მანდილოსნები 50-კ, მა-მაკაცი—1-პან.



Доволено Военной Цнзурою სტამბა „სოპანი“